



საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანსაღი დაცვისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

სსიპ - შრომის ინსპექციის სამსახური ერთად შევქმნათ უსაფრთხო სამუშაო გარემო!

ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებული რეკომენდაციები სამთო-მოპოვებითი სექტორისთვის, წარმოებისა და დამამუშავებელი მრეწველობისთვის

დამსაქმებლის ვალდებულებები:



- მიუხედავად იმისა, არის თუ არა გამოვლენილი ინფექციის შემთხვევა, შეიმუშაოს საგანგებო სიტუაციაში სამოქმედო გეგმა, რაც ხელს შეუწყობს ავადმყოფობის გამო გაცდენილი სამუშაო დღეების შემცირებას, გამოვლენის შემთხვევაში კი - გავრცელების პრევენციას;
- მიაწოდოს დასაქმებულებს ინფორმაცია უსაფრთხო მუშაობის პროცედურების და ვირუსის გავრცელების პრევენციის შესახებ;
- განათავსოს თვალსაჩინო ადგილას ინფორმაცია COVID-19-ის შესახებ და პრევენციული ღონისძიებების შესახებ;
- იმ თანამშრომლებთან დაკავშირებით, რომელთაც შეუძლიათ სამუშაოს შესრულება დისტანციურად, მაქსიმალურად უნდა იყოს უზრუნველყოფილი მუშაობის ამგვარი მეთოდის გამოყენება;
- რეკომენდირებულია ერთ სამუშაო უბანზე, დახურულ სივრცეში, არაუმეტეს 10 ადამიანის ერთობლივი მუშაობა, შესაბამისი დისტანციის დაცვით (არანაკლებ 2 მ);
- უზრუნველყოს სამუშაო პროცესის დაწყებამდე, სამედიცინო პერსონალის მიერ დასაქმებულთა შემოწმება ვირუსის სიმპტომებთან დაკავშირებით;
- სამუშაო ადგილებზე განათავსოს სადეზინფექციო საშუალებები და მათი სწორად მოხმარების წესები;
- უზრუნველყოს, სამუშაო ადგილზე ხელის პერიოდული დეზინფექციისთვის საჭირო სულ მცირე, 70% ალკოჰოლის შემცველი ხელის სადეზინფექციო ხსნარის გამოყენების შესაძლებლობა;
- ყველა თანამშრომელს მიაწოდოს ინფორმაცია შესაბამისი პრევენციული პროცედურების შესახებ;
- დასაქმებულები უზრუნველყავით სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე აუცილებელი ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით (სპეცტანსაცმელი, სპეცფეხსაცმელი, ჩაფხუტი, ხელთათმანი, სამედიცინო ნიღაბი), დააწესეთ კონტროლი მათ გამოყენებაზე;
- დაატრენინგოს თანამშრომლები ინდივიდუალური დაცვის საშუალებებისა და ჰიგიენური საშუალებების სწორად გამოყენებასა და შემდგომში მათ შენახვა/მოცილებაზე;
- გარკვეული პერიოდულობით მოახდინოს ხშირად გამოყენებული სამუშაო აღჭურვილობისა და სამუშაო ადგილების დეზინფექცია;
- უზრუნველყოს დასაქმებულთა მიერ გამოყენებული ერთჯერადი ხელსახოცებისა თუ სხვა გამოყენებული ჰიგიენური ნარჩენებისთვის დახურული კონტეინერების განთავსება;
- უზრუნველყოს ასეთი ნარჩენების დროული გატანა შესაბამისი პირის/სამსახურის მიერ.

დასაქმებულთა ვალდებულებები:

ხელის ჰიგიენის რეგულარულად და საფუძვლიანად შესრულება წარმოადგენს უმეტესი ვირუსისგან თავის დაცვის საუკეთესო საშუალებას

შესაბამისად, აუცილებელია სამუშაო ადგილზე განახორციელოთ შემდეგი ღონისძიებები:

- დაიცავით ჰიგიენის წესები თქვენს სამუშაო ადგილზე;
- სამუშაო პროცესი განახორციელეთ დამსაქმებლის მიერ განსაზღვრული საგანგებო სიტუაციებში სამოქმედო გეგმის შესაბამისად;
- მისაღმებისას არ ჩამოართვათ ხელი ერთმანეთს და მოერიდოთ სხვებთან კონტაქტს (შეხებას და სხვა);



- მოერიდეთ თავშეყრას, რეკომენდირებულია ერთ სამუშაო პლატფორმაზე, დახურულ სივრცეში, არაუმეტეს 10 ადამიანის მუშაობა უსაფრთხო დისტანციის დაცვით (არანაკლებ 2 მ-სა);
- სამუშაოების შესრულებისას გამოიყენეთ ის ინდივიდუალური დაცვის საშუალებები, რომელსაც გაწვდით დამსაქმებელი;
- სადეზინფექციო საშუალებებით დაასუფთავეთ სამუშაო ადგილები და ის ხელსაწყოები, რომელსაც იყენებთ სამუშაო პროცესის მიმდინარეობისას;
- ხშირად დაიბანეთ ხელები წყლითა და საპნით, ხოლო დაბანის შემდგომ კარგად გაიმშრალეთ;
- გამოიყენეთ სპირტის ან სხვა სადეზინფექციო სითხის შემცველი ხელის საწმენდი საშუალებები იმ შემთხვევაში, თუ ვერ ახერხებთ ხელების დაბანას;
- დახველების და დაცემინების დროს მიიფარეთ სუფთა ხელსახოცი ან იდაყვი. გამოყენებული ერთჯერადი ხელსახოცი კი გადააგდეთ ურნაში;
- მოერიდეთ ხელებით თვალებზე, ცხვირზე და პირზე შეხებას.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:

 15 05

 116 001